

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 8 4

ქ. ბათუმი, 10 აგვისტო 2015 წ

ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №91-ის მიმდებარედ არსებული 102,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“-სათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

2015 წლის 06 ივლისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრმა“, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №91-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში 10 წელია ფუნქციონირებს სამედიცინო კლინიკა-ცენტრი და ამ ხნის განმავლობაში მონოპროფილური ოფთალმოლოგიური ცენტრიდან ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრად, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, ხოლო დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. ამასთან, სამედიცინო ცენტრში 2005 წელს დასაქმებული იყო 12 თანამშრომელი, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 77 უმაღლესი, საშუალო და დაბალი პერსონალი.

მოსახლეობის უფრო ეფექტური და კომფორტული მომსახურების მიზნით, შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“ ითხოვს, რომ სამედიცინო ცენტრის მომიჯნავედ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №91-ის მიმდებარედ არსებული 102,00 კვმ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.12.026) პირდაპირი განკარგვის წესით, 19 წლის ვადით გადაეცეს აღნაგობის უფლებით, რითაც შესაძლებელი იქნება სამედიცინო ცენტრის შემდგომი განვითარება-გაფართოება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს თანამედროვე არქიტექტურული იერსახის შენობა-ნაგებობის მშენებლობით და რომელიც ფაქტიურად მოქმედი კლინიკის გაგრძელება იქნება, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გარდაიქმნება ერთიან შენობა-ნაგებობად.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნევს დაკმაყოფილდეს შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“-ს თხოვნა და ამ მიზნით პირდაპირი განკარგვის განკარგვის წესით 19 წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქ. №91-ის მიმდებარედ არსებული 102,00 კვმ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.12.026).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის

წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის, პრივატიზაციის გეგმის და სარგებლობის უფლებით განსაკარგი ობიექტების სარგებლობის საფასურის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №36 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში 2015 წლის 06 აგვისტოს №43 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ქ. ბათუმში, ზ. გორგილამის ქ. №91-ის მიმდებარედ არსებული 102,00 კვმ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.12.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემაზე, ხოლო ობიექტის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვრა 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 245441552) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაეცეს ქ. ბათუმში, ზ. გორგილამის ქ. №91-ის მიმდებარედ არსებული 102,00 კვმ მიწის ნაკვეთი (მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა – ქალაქი ბათუმი, კოდი – 05, სექტორი – 23, კვარტლის ნომერი – 12, ნაკვეთის ნომერი – 026, ფართობი – 102,00 კვმ, უფლება – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია);

2. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 19 (ცხრამეტი) წლით.

3. მიწის ნაკვეთის წლიური აღნაგობის საზღაური განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარით.

4. ძირითად სახელშეკრულებო პირობად განისაზღვროს:

4.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე იერსახის შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ქ. ბათუმში, ზ. გორგილამის ქ. №91-ში მდებარე შპს „საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი“-ს სარგებლობაში არსებულ მოქმედ სამედიცინო დაწესებულების ფართთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.12.006.01.503), რადროსაც მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ფუნქციონირება (გამოყენება) დაუშვებელი უნდა იყოს.

4.2. აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ აღნაგობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთისათვის აღნაგობის საზღაურის გადახდა განხორციელ-

დეს შემდეგი პირობებით თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე სახელშეკრულებო წლის შესაბამისად;

4.2.1. პირველი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო წლის შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო, ხოლო ყოველი შემდეგი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო;

4.2.3. აღნაგობის საზღაურის და საიჯარო ქირის გადახდა სარგებლობის უფლების მქონეს არ ათავისუფლებს მიწითსარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

4.2.4. აღნაგობის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, აღნაგობის უფლების მქონე სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის აღნაგობის საზღაურს, რომელ სახელშეკრულებო წელსაც მოხდა აღნაგობის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

5. სხვა სახელშეკრულებო პირობებად განისაზღვროს:

5.1. აღნაგობის უფლების მქონე ვალდებულია საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით თავად უზრუნველყოს სახელშეკრულებო პირობების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისათვის დაწესებული ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება;

5.2. აღნაგობის უფლება არ დატვირთოს სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა პირთა სასარგებლოდ იმდაგვარად, რითაც შეუძლებელი გახდება მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენება ან/და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება;

5.3. აღნაგობის უფლების მქონე პირმა საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ობიექტების ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება;

5.4. აღნაგობის უფლების მქონე ვალდებულია გადაიხადოს აღნაგობის უფლების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების სათანადო წესით დადასტურების, უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და სხვა მასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

6. სარგებლობის უფლების მქონეს მიეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

6.1. მიწის ნაკვეთის მისამართი: ქ. ბათუმში, ზ. გორგილამის ქ. №91-ის მიმდებარედ; არსებული 102,00 კვმ მიწის ნაკვეთი (მახასიათებლები: სარეგისტრაციო ზონა – ქალაქი ბათუმი, კოდი – 05, სექტორი – 23, კვარტლის ნომერი – 12, ნაკვეთის ნომერი – 026, ფართობი – 102,00 კვმ, უფლება – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია);

6.2. მიწის ნაკვეთის მდგომარეობა: უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

7. აღნაგობის უფლების მქონე პირს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლება წარმოეშობა აღნიშნულის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

8. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ნ. დეკანაძე) ამ ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

9. თუ კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, წინამდებარე ბრძანების შედეგები უქმდება.

10. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი